F133
1937

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1937 წ. დეკემბრის 22 № 20 თბილისი.

შინაარსი

სამოქალაქო სამართალი.

145. განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათათვის სამშენებლოდ, უვადო სარგებლობის უფლებით მიწის ნაკვეთების გადაცემის თაობაზე გამოცემული დადგენილების შესახებ.

მიწის, წყლის და ტყის მეურნეობა.
სოფლის მეურნეობა.

146. 1938 წლის 1 იანვრის მდგომარეობის მიხედვით პირუტყვის აღწერის შესახებ.

147. ქალაქ თბილისის გარშემო ათკილომეტრიან ზონაში სამ შემოღობილ ნაკვეთზე ნადირობის აკრძალვის შესახებ.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა.

148. საბინაო კოოპერატივებისა და მათი კავშირების ლიკვიდაციის წესის შესახებ.

ჯანმრთელობის დაცვა.

149. კურორტ აბასთუმანში საცხოვრებელ სადგომების ქირისა და კურორტ აბასთუმანსა და წყალტუბოში სავაჭრო-სასაწყობო სადგომების საიჯარო ქირის ტარიფების დამტკიცების შესახებ.

სოციალური უზრუნველყოფა.

150. წელთნამსახურობისათვის უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების სამეცნიერო მომუშავეთა პენსიით უზრუნველყოფის თაობაზე გამოცემული დადგენილების დამატების შესახებ.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება.

151. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის დებულების შეცვლის შესახებ.

152. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამოქალაქო სამართალი

145. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათათვის სამშენებლოდ, უვადო სარგებლობის უფლებით მიწის ნაკვეთების გადაცემის თაობაზე გამოცემული დადგენილების დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათათვის სამშენებლოდ, უვადო სარგებლობის უფლებით, მიწის ნაკვეთების გადაცემის შესახებ“ (სამოქალაქო სამართლის კოდექსის მუხ. 84³ დანართი — საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 23, მუხ. 191) გამოცემულ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის 16 ივნისის დადგენილების მე-3 მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

შენიშვნა. ამ მუხლში აღნიშნულ შენობების გადაცემა სახელმწიფო ორგანოებისათვის, თუ გადაცემამდე ისინი სხვა სახელმწიფო ორგანოებს ეკუთვნოდნენ, მოხდება იმ წესით, რომელიც დადგენილია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 15 თებერვლის დადგენილებით „სახელმწიფო საწარმოების, შენობებისა და ნაგებობების გადაცემის წესის შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1936 წ. № 11, მუხ. 93).

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მ. ა. **ვ. ბუჯიაშვილი.**

1937 წ. ნოემბრის 26. № 231/1386.

თბილისი.

მიწის, წყლის და ტყის მეურნეობა. სოფლის მეურნეობა

146. დადგენილება ს.კ.ს.

1938 წლის 1 იანვრის მდგომარეობის მიხედვით პირუტყვის აღწერის შესახებ.

„1938 წლის 1 იანვრის მდგომარეობის მიხედვით პირუტყვის საკავშირო აღწერის შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 74, მუხ. 362) სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 19 ნოემბრის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს ჩაატაროს საქართველოს სსრ სასოფლო და საქალაქო ადგილებში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ცხვრების, თხების, ღორების, ცხენების ვირების, ჯორებისა და აქლემების აღწერა 1938 წლის 1 იანვრის მდგომარეობის მიხედვით.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს პირუტყვის აღწერის დამთავრების შემდეგ ჩაატაროს აღწერის მონაცემთა საკონტროლო შემოწმება და გაავრცელოს იგი კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა კომლების არანაკლებ 10 პროცენტზე თვითეულ რაიონში.

3. დაწესდეს, რომ პირუტყვის აღწერას ატარებს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველო 1938 წლის 1 იანვრიდან 8 იანვრამდე.

ნება დაერთოს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს ჩაატაროს პირუტყვის ვადამდე აღწერა 15 დეკემბრიდან 1 იანვრამდე აჭარის ასს რესპუბლიკის ხულოს რაიონში, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯავის, ლენინგორის რაიონებში, აგრეთვე სტალინირის რაიონის ბელოტის, ბიტალისა და გერტის სასოფლო საბჭოებში, აფხაზეთის ასსრ სოხუმის რაიონის ფსხუს სასოფლო საბჭოში, ყაზბეგის რაიონში და თელავის რაიონის მთათუშეთში.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწსახკომს, კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს და სხვა უწყებებსა და ორგანიზაციებს, რომელებსაც მეცხოველეობის მეურნეობანი აქვთ, სახელმწიფო და კოოპერაციული მეურნეობების დირექტორებს, აგრეთვე ყველა კოლმეურნეობის თავმჯდომარეებს, დაუყოვნებლივ შეუდგნენ და აღწერის დაწყებისათვის დაამთავრონ პირუტყვის ინვენტარიზაცია 1938 წლის 1 იანვრის მდგომარეობის მიხედვით.

5. წინადადება მიეცეს სახელმწიფო და კოოპერაციული მეურნეობების დირექტორებს, აგრეთვე კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს წარუდგინონ აღწერის ჩამტარებელ რეგისტრატორებს ზუსტი და მათ მიერ პირადად შემოწმებული ცნობები პირუტყვის რაოდენობის შესახებ 1938 წლის 1 იანვრისათვის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალურ სამმართველოს მიერ დამტკიცებული ფორმებით.

6. დაევალოს სიღნაღის, თელავის, დუშეთის, გურჯაანის, ყვარლის, ლაგოდეხის, თბილისის, საგარეჯოს, თიანეთის, ბაშკიჩეთის, ყაზბეგის, ჯავის, ლენინგორის, სტალინირის, ცხაკაიას, გეგეჭკორის, ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ბათუმის, ქობულეთის, ქედისა და ხულოს რაიონების რაიალმასკომთა თავმჯდომარეებს მოაწყონ ბრიგადები გულმოდგინედ შემოწმებული პირებისაგან პირუტყვის აღწერის ჩასატარებლად ზამთრის საძოვრებზე.

საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველომ მიავლინოს ზამთრის საძოვრებზე თავისი წარმომადგენლები პირუტყვის აღწერისათვის დახმარებისა და კონტროლის გასაწევად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. პირუტყვის მომავალი აღწერის განსაკუთრებით დიდი სამეურნეო-პოლიტიკური მნიშვნელობის გამო, დაევალოს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, აგრეთვე ყველა საქალაქო საბჭოს და რაიაღმასკომს:

ა) დაუყოვნებლივ გაშალონ სათანადო მუშაობა იმ მხრივ, რომ ფართოდ განუმარტონ მოსახლეობას პირუტყვის მომავალი აღწერის მნიშვნელობა და ამოცანები;

ბ) უზრუნველჰყონ საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს ორგანოები აღწერის ჩასატარებლად, გულმოდგინედ შემოწმებულ და მომზადებულ მუშაკთა საჭირო რაოდენობით;

გ) უზრუნველჰყონ აღწერის მუშაკები მიმოსვლის საშუალებებით რაიონის შიგნით და ზამთრის საძოვრებზე;

დ) მიამაგრონ თვითეულ სასოფლო საბჭოს პირუტყვის აღწერის მთელი პერიოდისათვის რაიონის პასუხისმგებელი მუშაკები სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს ორგანოებისათვის დახმარების გასაწევად აღწერის თავის დროზე და სწორად ჩატარების საქმეში;

ე) არა უგვიანეს 1937 წლის 15 დეკემბრისა მოისმინონ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოთა უფროსების, ხოლო რაიონებსა და ქალაქებში—სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის რაიონულ ინსპექტორთა მოხსენებანი პირუტყვის აღწერისათვის მზადების შესახებ და აღწერის დამთავრების შემდეგ მოისმინონ მოხსენებანი აღწერის შედეგების შესახებ.

8. დაწესდეს, რომ არაუგვიანეს 1937 წლის 20 დეკემბრისა პირუტყვის აღწერის ჩამტარებელი პირები შემოწმებული და პერსონალურად დამტკიცებული უნდა იქნან რაიაღმასკომებისა და საქალაქო საბჭოების პრეზიდიუმების მიერ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის რაიონული ინსპექტორების წარდგენით.

9. დაევალოს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტების თავმჯდომარეებს, ყველა საქალაქო საბჭოს და რაიაღმასკომის თავმჯდომარეებს უზრუნველჰყონ პირუტყვის აღწერის წინასწარი შედეგების წარდგენა საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოში არაუგვიანეს 1938 წლის 13 იანვრისა.

10. დაწესდეს, რომ პირუტყვის აღწერის საბოლოო შედეგებს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს პირადად წარუდგენენ არაუგვიანეს 1938 წლის 25 იანვრისა რაიაღმასკომების თავმჯდომარეები და სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის რაიონული ინსპექტორები.

11. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს:

ა) მიავლინოს რაიონებისათვის დახმარების გასაწევად პირუტყვის აღწერის სწორი ორგანიზაციის საქმეში, ერთი თვის ვადით, თბილისიდან 45 შემოწმებული პასუხისმგებელი მუშაკი, აქედან 25 საქართველოს სსრ სახალხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს აპარატიდან და 20—საქართველოს სსრ სხვა სახალხო კომისარიატებიდან და ცენტრალური უწყებებიდან მობილიზებულნი;

ბ) პირუტყვის აღწერის წინასწარი შედეგები წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1938 წლის 15 იანვრისათვის და პირუტყვის აღწერის საბოლოო შედეგები—არა უგვიანეს 1938 წლის 20 თებერვლისა.

12. პირუტყვის აღწერის არასწორად ჩატარებაში, აგრეთვე აღწერისათვის წინააღმდეგობის გაწევასა და პირუტყვის დამალვაში დამნაშავე პირები მიცემულ იქნებიან სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში.

13. გაფრთხილებულ იქნას აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტების თავმჯდომარეები, აგრეთვე ყველა საქალაქო საბჭოს და რაიაღმასკომის თავმჯდომარეები რომ ისინი პერსონალურად არიან პასუხისმგებელნი პირუტყვის აღწერის სწორად და ზუსტად ჩატარებისათვის.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. **რ. ჭელიძე.**

1937 წ. დეკემბრის 8. № 1408.
თბილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 282 №-ში 1937 წ. დეკემბრის 11.

---

147. დადგენილება ს.კ.ს.

ქალაქ თბილისის გარშემო ათკილომეტრიანი ზონაში სამ შემოლობილ ნაკვეთზე ნადირობის აკრძალვის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ქალაქ თბილისის მიდამოებში ფაუნის შენარჩუნების მიზნით აიკრძალოს ათი წლის ვადით, 1947 წლის ნოემბრის 1-ამდე ყოველგვარი ნადირობა ქალაქ თბილისის გარშემო ათკილომეტრიან ზონაში ქვემოთაღნიშნულ შემოლობილ ნაკვეთებზე:

ა) ორთაჭალის ნაკვეთზე (საპატიმროს მთები)—608 ჰექტარის ფართობი, შემდეგი საზღვრებით: ჩრდილოეთით—თბილისის საპატიმროს ტერიტორია და ქალაქის ნაგებობანი; აღმოსავლეთით—კრწანისის გზატკეცილი; სამხრეთით—ბავშვთა სახელმწიფო აღსაზრდელი სახლი და დასავლეთით—სოფ. თელეთის და შინდისის მიწები.

ბ) ფუნიკულერის ნაკვეთზე—600 ჰექტარის ფართობი, შემდეგი საზღვრებით: ჩრდილოეთით—სოფ. წყნეთის მიწები; აღმოსავლეთით—პარაშუტისტთა მოედანი (საჰაერო ფლოტის განყოფილება) და ქალაქის საცხოვრებელი სახლები სამხრეთით და დასავლეთით სოფ. ოქროყანის მიწები;

გ) ლისის ტბის ნაკვეთზე—700 ჰექტარის ფართობი, შემდეგი საზღვრებით: სამხრეთით—საბურთალოს საქალაქო ნაკვეთები; აღმოსავლეთით—საქართველოს სამხედრო გზატკეცილი ორნადირის ხევის ხეობამდე; ჩრდილოეთით—ორნადირის ხევის ხეობა დიღმის უღელტეხილამდე; ჩრდილო-დასავლეთით—დიღმის უღელტეხილიდან დაჭაობიანებული ნაკვეთის გასწვრივ იმ გზის შეერთების ადგილამდე, რომელიც სოფელ ლისიდან ქ. თბილისში მიდის, და სამხრეთ-დასავლეთით სოფ. ლისიდან ქალაქ თბილისში მიმავალი გზის გადაჭრის წერტილიდან საბურთალოს საქალაქო ნაკვეთებამდე.

2. ამ დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნულ ნაკვეთებზე სანადირო ფაუნის დაცვა დაეკისროს თბილისის საბჭოს (ტრესტი მწვანმშენი).

3. გაუქმდეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 27 ნოემბრის დადგენილება „ქალაქ თბილისის გარეშემო ათკილომეტრიან ზონაში ნადირობის აკრძალვის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 29. მუხ. 175).

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. **რ. ჭელიძე.**

1937 წ. დეკემბრის 7. № 1404.
თბილისი.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

148. დადგენილება ს.კ.ს.

საბინაო-კოოპერატივებისა და მათი კავშირების ლიკვიდაციის წესის შესახებ.

„საბინაო კოოპერატივების და მათი კავშირების ლიკვიდაციის, მათთვის სახლების, აგარაკების, საწარმოებისა და ქონების გადაცემის და მეპაიებთან ანგარიშსწორების წესის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 25 ნოემბრის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 75, მუხ. 360), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ქალაქ თბილისის, ბათუმის, სოხუმის, ქუთაისის, ბორჯომის, ახალციხის, ფოთის, მახარაძის, სტალინირის, გურჯაანის, ჭიათურის, ცხაკაიას, ზუგდიდის და გორის საქალაქო საბჭოებს 1937 წლის 7 დეკემბრამდე უზრუნველყონ საბინაო სამმართველოების მოწყობა, ლიკვიდირებულ საბინაო კოპერაციის გადასაცემი სახლების და ქონების დროზე მისაღებად.

2. დაევალოს საქალაქო საბჭოებს დააწესონ სახლთმფლობელობათა (სახლოვანი ჯგუფები) მოცულობა იმ ნორმების შესაბამისად, რომლებიც დადგენილია „ქალაქებში საბინაო ფონდის შენარჩუნებისა და საბინაო მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 69, მუხ. 314) სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1937 წლის 17 ოქტომბრის დადგენილებაში—მუხ. 12 და დაუყოვნებლივ შეუდგნენ სახლთა მმართველობის დანიშვნას.

3. ლიკვიდირებულ საბინაო-საიჯარო კოოპერაციულ ამხანაგობათა ქონების გადაცემა ჩატარდეს 1937 წლის 15 დეკემბრამდე შემდეგი წესით:

ა) საბინაო-საიჯარო კოოპერაციულ ამხანაგობათა სარგებლობაში მყოფი სახლები გადაეცეს საქალაქო საბჭოების საბინაო სამმართველოებს, ხოლო სათანადო შემთხვევებში—საწარმოებსა, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, მიღება-ჩაბარების აქტით, რომლებიც შესდგება საინვენტარო აღწერილობათა საფუძველზე და რომელსაც ხელს მოაწერენ საბინაო-საიჯარო კოოპერაციული ამხანაგობის გამგეობა და სახლის მმართველი;

ბ) სახლთმფლობელობათა ქონება გადაეცეს აქტივით და პასივით 1937 წლის 1 დეკემბრის ბალანსის მიხედვით საქმეებით, წიგნებით, დოკუმენტებით, ბეჭდებით, შტამპებით და სხვ.;

გ) საბინაო-საიჯარო კოოპერაციულ ამხანაგობათა საალრიცხვო კონტორები გადაეცეს საქალაქო საბჭოების საბინაო სამმართველოებს არსებული შტატით, ინვენტარით და სხვ.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს კომუნალურ ბანკს 1937 წლის 15 დეკემბრიდან ხელახლა გააფორმოს სათანადო საბინაო სამმართველოთა სახელზე ცენტრალურ კომუნალურ ბანკის გრძელვადიანი სესხები, რომლებიც გაცემულია საბინაო-საიჯარო კოოპერაციულ ამხანაგობათა სახლების რემონტისათვის.

დაევალოს საქალაქო საბჭოებს გაითვალისწინონ 1938 წლის ბიუჯეტში თანხები, რომლებიც საჭიროა ამ სესხების დასაფარავად.

5. დაევალოს საბინაო-საალმშენებლო და საგარაჟო-საალმშენებლო კოოპერაციულ ამხანაგობათა გამგეობებს 1937 წლის 7 დეკემბრამდე წარუდგინონ კომუნალურ ბანკს და ამ უკანასკნელის სათანადო ფილიალებს, რომლებიც მათ აფინანსებენ, დასამოწმებლად კოოპერატივთა აშენებული, მშენებლობის პროცესში მყოფი, აგრეთვე კონსერვაციაში მყოფი საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების სატიტულო სიები, ამასთან აღნიშნონ დაფინანსების წყაროები თვითეული ობიექტის მიხედვით.

6. წინადადება მიეცეს საბინაო-საალმშენებლო და საგარაჟო-საალმშენებლო კოოპერაციულ ამხანაგობათა გამგეობებს, თანახმად მეპაიეთა საერთო კრებების გადაწყვეტილებისა სახელმწიფო სესხის დაფარვის შესახებ სსრ კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს 1937 წლის 17 ოქტომბრის დადგენილების მე-4 და მე-5 მუხლების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 69, მუხ. 314), გამოჰყონ კოლექტივები, რომლებიც ჰფარავენ სახელმწიფო სესხს, ხოლო ყველა და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარჩენი სახლი 1937 წლის 15 დეკემბრისათვის გადასცენ საქალაქო საბჭოების საბინაო სამმართველოებს, საწარმოებს, დაწესებულებებს ან ორგანიზაციებს.

7. საწარმოები, დაწესებულებანი და ორგანიზაციები, რომლებმაც საბინაო-საალმშენებლო კოოპერატივთა სახლები ააშენეს ნაწილობრივ სახელმწიფო სესხის ხარჯზე, ვალდებული არიან ამ სახლების მიღებისას, მაგრამ არაუგვიანეს 1937 წლის 10 დეკემბრისა, მისცენ კომუნალურ ბანკს ვალდებულებანი ამ სესხის დაფარვის შესახებ.

8. დაევალოს საქალაქო საბჭოებს, რომელთა ტერიტორიაზედაც იმყოფება საბინაო კოოპერატივებისა და მათი კავშირების დამხმარე სამეურნეო საწარმოები, მიიღონ ეს საწარმოები 1937 წლის 10 დეკემბრამდე აქტივითა და პასივით 1 დეკემბრისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით.

9. საბინაო კოოპერაციის საქალაქო კავშირების სრული ლიკვიდაცია დამთავრდეს 1937 წლის 15 დეკემბრამდე, ამასთან უკანასკნელთა მთელი ქონება გადაეცეს საქალაქო საბჭოების საბინაო სამმართველოებს აქტივით და პასივით 1 დეკემბრისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით.

10. წინადადება მიეცეს საქალაქო საბჭოებს გამოჰყონ ტექნიკური კომისია, რომელმაც 1937 წლის 15 დეკემბრამდე უნდა მიიღოს საალმშენებლო კოოპერაციის კონსერვირებული და მშენებლობის პროცესში მყოფი ობიექტები. მიღება მოხდეს მუშაობის შეუჩერებლად, ამასთან ის ორგანიზაციები, რომლებიც მშენებლობას ანხორციელებენ, 1937 წლის 1 დეკემბრის ბალანსის მიხედვით გადაეცეს საქალაქო საბჭოების საბინაო სამმართველოებს იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილ იქნას 1937 წლის გეგმის შესრულება.

11. დაევალოს საქალაქო საბჭოებს, რომლებსაც აქვთ საბინაო-საალმშენებლო კოოპერაცია, აგრეთვე საწარმოებს, დაწესებულებებს და ორგანიზაციებს არა უგვიანეს 1937 წლის 20 დეკემბრისა წარუდგინონ საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს განაცხადი 1938 წლის ბიუჯეტით იმ სახსრებზე, რომლებიც საჭიროა საბინაო-საალმშენებლო კოოპერაციის ხაზით პაის დანაგროვთა დასაფარავად, იმ ანგარიშით, რომ ფინანსთა სახალხო კომისარიატმა მომავალი საბიუჯეტო წლის დამლევამდე წარუდგინოს სათანადო განაცხადი სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

12. პასუხისმგებლობა საბინაო კოოპერაციის ლიკვიდაციის სწორად ჩატარებისათვის დაეკისროს საქალაქო საბჭოებს.

13. ლიკვიდაციის ჩატარების საერთო ხელმძღვანელობა და კონტროლი დაეკისროს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის სათანადო ორგანოებს.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. **რ. ჭელიძე.**

1937 წ. დეკემბრის 3. № 1315.

თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანმრთელობის დაცვა

149. დადგენილება ს.კ.ს.

კურორტ აბასთუმანში საცხოვრებელ სადგომების ქირისა და კურორტ აბასთუმანსა და წყალტუბოში სავაჭრო-სასაწყობო სადგომების საიჯარო ქირის ტარიფების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს კურორტ აბასთუმანში საცხოვრებელ სადგომების ქირისა და კურორტ აბასთუმანსა და წყალტუბოში სავაჭრო-სასაწყობო სადგომების საიჯარო ქირის შემდეგი ტარიფები:

ა. I კატეგ. საცხოვრებელი სადგომები ინვენტარით 1 კვ. მეტრი თვეში	5 მან.	80 კაპ.
II „ „ „ „	4 „	80 „
III „ „ „ „	3 „	50 „

შენიშვნა. აღნიშნული ტარიფებიდან დაწესდება დათმობა:

ა) აბასთუმანში მუდმივ მცხოვრებ პირთათვის (ადგილობრივი მცხოვრებნი)	50%
ბ) არაორგანიზებულ მოაგარაკეთათვის, რომლებიც კურორტ აბასთუმანში ცხოვრობენ 1 წელი და მეტი ხანი	25%
ბ. სავაჭრო-სასაწყობო სადგომები 1 კვად. მეტრი თვეში . .	4 მან.

2. გაუქმდეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი 1936 წლის 17 აპრილის № 392 საქკურორტმომარაგება—გასაღების მიერ დაკავებულ სადგომების ქირის ტარიფების შესახებ და 1936 წლის 8 დეკემბრის № 1640 „კურორტ აბასთუმანში საცხოვრებელი სადგომების ქირის და კურორტ აბასთუმანსა და წყალტუბოში სავაჭრო-სასაწყობო სადგომთა საიჯარო ქირის ტარიფების დამტკიცების შესახებ“ იმ ნაწილში, რომელიც შეეხება კურორტ აბასთუმანსა და წყალტუბოში საცხოვრებელ და სავაჭრო-სასაწყობო სადგომებს.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. **რ. ჭელიძე.**

1937 წ. დეკემბრის 3. № 1318.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალური უზრუნველყოფა

150. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

წელთნამსახურობისათვის უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების სამეცნიერო მომუშავეთა პენსიით უზრუნველყოფის თაობაზე გამოცემული დადგენილების დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„წელთნამსახურობისათვის უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების სამეცნიერო მომუშავეთა პენსიით უზრუნველყოფის შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 32, მუხ. 196) გამოცემულ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 20 ნოემბრის დადგენილების 1 მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა:** ამ დადგენილების მოქმედება არ ვრცელდება სსრ კავშირის ორგანოების გამგებლობაში მყოფ უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების სამეცნიერო მომუშავეებზე, რომლებსაც შეეფარდებათ სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი 1928 წლის 21 დეკემბრის თარიღისა „წელთნამსახურობისათვის იმ უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების სამეცნიერო მომუშავეთა პენსიით უზრუნველყოფის შესახებ, რომლებიც იმყოფებიან სსრ კავშირის ორგანოების გამგებლობაში" (სსრკ კან. კრ. 1929 წ. № 3, მუხ. 20) და 1937 წლის 4 ნოემბრის თარიღისა „წელთნამსახურობისათვის იმ უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების სამეცნიერო მომუშავეთათვის პენსიების დანიშვნისა და მიცემის წესის შესახებ, რომლებიც სსრ კავშირის ორგანოების გამგებლობაში იმყოფებიან" (სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 71, მუხ. 337).

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მ. ა. **ვ. ბუჯიაშვილი.**

1937 წ. ნოემბრის 26. № 230/1305.
თბილისი.

სასამართლო წყობილება და საგამართლის წარმოება

151. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის დებულების შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებანი საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის დებულებაში (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 4, მუხ. 50):

1. დაემატოს მე-6 მუხლს შემდეგი შინაარსის პუნქტი „ე".

„ე) კოლმეურნეობათა დავა ერთმანეთშორის, აგრეთვე სახელმწიფო და კოოპერაციულ ორგანიზაციებთან, სარჩელის თანხის დამოუკიდებლად".

2. მე-7 მუხლის „ბ", „გ" და „დ" პუნქტები მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„ბ) 1.000 მანეთიდან ვიდრე 25.000 მანეთამდე თანხის გამო აღძრული დავა, როდესაც ერთი ან ორივე მხარე საერთო-საკავშირო მნიშვნელობის მქონე დაწესებულება, საწარმო ან ორგანიზაციაა";

გ) 1.000 მანეთიდან ვიდრე 25.000 მანეთამდე თანხის გამო აღძრული ვადა სხვადასხვა მოკავშირე რესპუბლიკის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის, უკეთუ მოპასუხე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე იმყოფება, პროდუქციის თვისების გამო აღძრულ დავათა გამოკლებით, რომელთა ქვემდებარეობაც განისაზღვრება სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის სპეციალური ინსტრუქციით;

დ) „ბ" და „გ" პუნქტებში აღნიშნულ მხარეთა დავა 25.000 მანეთზე არანაკლები თანხის შესახებ, უკეთუ ამ დავის განხილვას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟს მიანდობს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი".

3. მე-8 მუხლის 3. „ბ" მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„ბ) დავა, რომლის განხილვასაც მას მიანდობს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან ან საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი".

II

გაუქმდეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1935 წლის 2 აგვისტოსი (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. № 25, მუხ. 147) და 1937 წლის 5 აპრილისა № 201/420 საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის დებულების შეცვლის შესახებ.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**
საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**
სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მ. ა. **ვ. ბუჯიაშვილი.**

1937 წ. ნოემბრის 26. № 232/1385.
თბილისი.

152. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1937 წლის 14 სექტემბრის დადგენილების „მოკავშირე რესპუბლიკების მომქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებათა შეტანის შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1937 წ., № 61, მუხ. 266) შესაბამისად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დაემატოს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მეშვიდე კარს XXXIV-ე თავი „კონტრრევოლუციური მავნებლობისა და დივერსიის საქმეთა განხილვის წესის შესახებ“ შემდეგი მუხლებით:

„ 467. კონტრრევოლუციური მავნებლობისა და დივერსიის საქმეებზე ბრალდებულებს საბრალმდებლო დასკვნა ჩაბარდებათ ერთი დღე-ღამით ადრე საქმის სასამართლოში განხილვამდე.

468. საქართველოს სსრ 58^7 (მავნებლობა) და 58^9 (დივერსია) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებზე განაჩენის საკასაციო გასაჩივრება არ დაიშვება.

469. განაჩენი სასჯელის უმაღლესი ზომის შესახებ (დახვრეტა) მოიყვანება სისრულეში დაუყოვნებლივ პატიების შესახებ მსჯავრდადებულთა შუამდგომლობის უარყოფისთანვე.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**
საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**
სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მ. ა. **ვ. ბუჯიაშვილი.**

1937 წ. დეკემბრის 7. № 236/1336.
თბილისი.

ფასი 25 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1937 წ. № 35. პ/მ. რედაქტორი **ი. შელეგია**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ; 3/4 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი.
გადაეცა სტამბას 22/XII, ხელმოწერილია დასაბეჭდად ტირაჟი 2.000

მთავლიტის რწმ. № ა-639 საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სტამბა შეკ. № 1569.